

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის

სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

-----

“—” ————— 2016 წ.

დოქტორანტურის სტანდარტი

# შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტანდარტი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში: სდასუ) დოქტორანტურის წინამდებარე სტანდარტი ადგენს სდასუ-ში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძირითად და ზოგად პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც უნივერსიტეტის სკოლების შემუშავებენ შესაბამის სახელმძღვანელო დებულებებს.

1.2 სდასუს დოქტორანტურის სტანდარტი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციების, კონვენციების, კომუნიკაციებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

## მუხლი 2. დოქტორანტურა

2.1 სდასუს დოქტორანტურა (შემდგომში „დოქტორანტურა“) არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერების ცალკეულ დარგებში სამეცნიერო კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2.2 დოქტორანტურაში სწავლა წარმართება სდასუს სკოლების სადისერტაციო საბჭოების მიერ შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების ფარგლებში .

2.3 დოქტორანტურაში სწავლის დასრულების შემდეგ დისერტაციის დაცვა და დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება წინამდებარე დებულებითა და შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესით.

## მუხლი 3. დოქტორანტურის მიზნები

3.1 სდასუს დოქტორანტურის ძირითადი მიზნებია:

ა) სამეცნიერო საქმიანობის უნარის მქონე პირების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება;

ბ) მეცნიერების სხვადასხვა დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დოქტორანტებისათვის სათანადო პირობების შექმნა დამოუკიდებელი კვლევების წარსამართად;

გ) აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება და კვლევის ხარისხის ამაღლება;

დ) განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია, დოქტორანტთა მობილობის წახალისება.

## მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

4.1 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4.2 დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

4.3 დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებაზე/გამოცდაზე შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით დადგენილი წესით.

4.4 დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხოური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც დგინდება გამოცდით ან სერტიფიკატით შესაბამის ენაში.

4.5 დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, მოეთხოვება აგრეთვე ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც დგინდება გამოცდით ან სერტიფიკატით ქართულ ენაში.

4.6 სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებითა და სადოქტორო პროგრამებით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

4.7 დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება სდასუს შესაბამისი სკოლის დებულებითა და სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

4.8 დოქტორანტს უფლება აქვს შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ერთი სკოლის ფარგლებში. აღნიშნულ საკითხს განიხილავს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელ პროგრამაზე გადასვლაც სურს დოქტორანტს. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა დასტურდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

## მუხლი 5. სადოქტორო პროგრამები

5.1 სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოს მიერ და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც სდასუს სრული ან ასოცირებული პროფესორი, ისე სადისერტაციო საბჭოს მოწვეული წევრი. პროგრამის ხელმძღვანელს სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

5.2 სპეციალიზებული სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულების ცალკეული სპეციალობის (დარგის) მიხედვით. სპეციალიზებული სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად (თანახელმძღვანელად) შეიძლება დამტკიცდეს სრული ან ასოცირებული პროფესორი ან სადისერტაციო საბჭოს მოწვეული წევრი, რომელსაც შესაბამისი სპეციალობით (დარგში) აქვს კვლევის გამოცდილება.

5.3 აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ამ მუხლის 5.1 და 5.2 პუნქტებში მითითებული სადოქტორო პროგრამები (შემდგომში სადოქტორო პროგრამები) შეიძლება შემუშავებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან ერთობლივად, სდასუსთან დადებული პარტნიორული ხელშეკრულების საფუძველზე.

5.4 დამტკიცებული სადოქტორო პროგრამები განთავსდება სდასუს ვებგვერდზე.

5.5 სადოქტორო პროგრამებში აისახება პროგრამის მიზანი, სტრუქტურა, სწავლების მეთოდოლოგია და შედეგები, კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები, აგრეთვე დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანაფარდობა, მოდულების, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ცალკეული ელემენტების მიხედვით კრედიტების დაგროვების ფარგლები და სხვა.

5.6 სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ:

- ა) სდასუს სრული და ასოცირებული პროფესორები;
- ბ) სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრებად არჩეული და სდასუსში მოწვეული დოქტორები ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები;
- გ) პარტნიორი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერები.

## მუხლი 6. სადოქტორო საკვლევი თემები და ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები

6.1 სადოქტორო პროგრამების მიხედვით წინასწარ შერჩეული სადისერტაციო თემითა და სავარაუდო ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობის გარდა, დოქტორანტურაში ჩარიცხვა შესაძლებელია სადოქტორო საკვლევი თემების მიხედვით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე.

6.2 შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭო წინასწარ აცხადებს სადოქტორო საკვლევ თემებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სთავაზობს მათ დოქტორანტურაში სწავლის მსურველებს.

6.3 სადოქტორო საკვლევი თემები შემუშავებულია მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულების ცალკეული სპეციალობის (დარგის) მიხედვით, სადისერტაციო საბჭოს წევრის ან წევრთა ჯგუფის მიერ. სადოქტორო საკვლევი თემის აქტუალურობასა და სიახლეს, მის მნიშვნელობას მეცნიერების ცალკეული დარგის განვითარებისთვის, საკვლევი თემის ინიციატორი ასაბუთებს წერილობით.

6.4 სადოქტორო საკვლევ თემებს იხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო, რომელიც შემდგომ შემთხვევებს საკვლევ თემების შესაბამის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სდასუს აკადემიურ საბჭოს.

6.5 სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო საკვლევ თემები და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები განთავსდება სდასუს ვებგვერდზე.

## მუხლი 7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

7.1 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) ნიშნავს სადისერტაციო საბჭო.

7.2 სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაცი(ებ)ა (გამოქვეყნებული მინიმუმ ერთი ნაშრომი).

7.3 სამეცნიერო ხელმძღვანელი ზედამხედველობს და კონტროლს უწევს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური გეგმის შესრულებას.

7.4 სამეცნიერო ხელმძღვანელს, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, უფლება აქვს უარი თქვას დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, რის თაობაზეც დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

## მუხლი 8. დოქტორანტურის მოცულობა და ხანგრძლივობა

8.1 დოქტორანტმა, სწავლისა და კვლევის პროცესში, 3 წლის (6 სემესტრის) განმავლობაში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 (ECTS) კრედიტისა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა შეძლო სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება და სადისერტაციო საბჭოსთვის სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა 3 წელზე (6 სემესტრზე) უფრო ნაკლებ დროში, შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით, მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ.

8.2 დოქტორანტს, რომელიც დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, უფლება ეძლევა დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა არაუმეტეს 4 სემესტრის (2 წლის) განმავლობაში.

8.3 დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს 30–დან 60 კრედიტამდე, დანარჩენი ეთმობა კვლევას. სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობას არეგულირებს შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.

8.4 დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ წინამდებარე სტანდარტით და შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით დადგენილი წესით.

8.5 დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

## მუხლი 9. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

9.1 სკოლის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს:

ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

ბ) უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;

გ) დოქტორანტის პირადი განცხადების საფუძველზე;

დ) შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 10. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

10.1 დოქტორანტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) აკადემიური შვებულება;
  - ბ) ხანგრძლივი ავადმყოფობა;
  - გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
  - დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
  - ე) ფინანსური დავალიანება;
  - ვ) პირადი განცხადება;
  - ზ) შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 10.2 დოქტორანტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.
- 10.3 სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, დოქტორანტი სწავლას აგრძელებს ახალი ხელშეკრულების საფუძველზე იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა დოქტორანტის სტატუსი.

**მუხლი 11. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები**

- 11.1 დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
- 11.2 დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მოიცავს სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს, რაც მოცემულია ქვემოთ, სქემის სახით; ამასთან შესაძლებელია შესაბამისი სკოლებისა და სადისერტაციო საბჭოების მიერ დადგენილ იქნეს მოცემული სქემისაგან განსხვავებული სასწავლო კურსები და კრედიტები, რაც აისახება შესაბამისი სკოლების სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებში.

კომპონენტი	კრედიტების შესაძლო მოცულობა
სწავლების თანამედროვე მეთოდები/ სწავლების მეთოდები	5-10 (ECTS) კრედიტი
კვლევის მეთოდები	5-10 (ECTS) კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	5-15 (ECTS) კრედიტი
უცხოური ენა (დარგობრივი)	5-10 (ECTS) კრედიტი
მიმართულების უცხოენოვანი სასწავლო კურსი	5-10 (ECTS) კრედიტი
დარგობრივი/დარგთაშორისი სასწავლო კურსები	5-20 (ECTS) კრედიტი
აკადემიური წერა	5 (ECTS) კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	5 (ECTS) კრედიტი
პრაქტიკა	5-10 (ECTS) კრედიტი
სასემინარო ნაშრომი (მინიმუმ ორი)	10-24 (ECTS) კრედიტი
სადისერტაციო ნაშრომი	არანაკლებ 120 (ECTS) კრედიტი
სხვა	—

- 11.3 სასწავლო კომპონენტის შემადგენელ ელემენტაგან სდასუს ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა: სწავლების თანამედროვე მეთოდები/სწავლების მეთოდები (არანაკლებ 5 კრედიტისა), კვლევის მეთოდები (არანაკლებ 5 კრედიტისა), პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტისა). სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები შეიძლება იყოს არჩევითი და დამოკიდებულია როგორც სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაზე და სადოქტორო პროგრამაზე, ისე დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმაზე.
- 11.4 სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ზოგადი სქემის ფარგლებში, სკოლა უფლებამოსილია დაადგინოს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსხვავებული სასკოლო სქემა, სადაც შესაძლებელია დაზუსტდეს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შემადგენელი ელემენტები, მათი სტატუსი, კრედიტების რაოდენობა და სხვა.

## მუხლი 12. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა

12.1. თითოეული დოქტორანტი, სასწავლო კომპონენტის საერთო საუნივერსიტეტო (სასკოლო) სქემის ფარგლებში, თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, თავად ადგენს ინდივიდუალურ გეგმას. ეს უკანასკნელი იქმნება არჩეული სპეციალობით ადრე მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური უნარების ჩამოსაყალიბებლად, სადოქტორო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კომპონენტიდან სასურველი ელემენტების შესარჩევად და აუცილებელი კრედიტების დაგროვების სავარაუდო გრაფიკის დასადგენად, აგრეთვე კონკრეტული კვლევითი პროექტების განსახორციელებლად და დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, დოქტორანტის აკადემიურ გამოცდილებაზე, სკოლის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

12.2 დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა შესაძლებელია მოიცავდეს: სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შემადგენლობას, დოქტორანტის მიერ მათი შესრულების სემესტრების მიხედვით გაწერილ სავარაუდო გრაფიკს, განსახორციელებელი სადისერტაციო კვლევის მიზანსა და სავარაუდო შედეგებს, სადისერტაციო თემის აქტუალობას, სიახლესა და მნიშვნელობას, სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურასა და შესრულების სავარაუდო გრაფიკს, აგრეთვე სასემინარო ნაშრომების შესრულების სავარაუდო გრაფიკსა და სამეცნიერო სტატიების სავარაუდო თემატიკას.

12.3 დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას დოქტორანტი ადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

12.4 დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას განიხილავს და ამტკიცებს შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭო.

## მუხლი 13. დისერტაცია

13.1 დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

13.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს სკოლის სადისერტაციო საბჭო.

13.3 სადისერტაციო ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.4 სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკურ პარამეტრებს განსაზღვრავს სკოლის სადისერტაციო საბჭო.

13.5 დისერტაციის არანაკლებ ერთი ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს სდასუს ბიბლიოთეკას. დისერტაცია უნდა გამოქვეყნდეს სდასუს ვებგვერდზე.

## მუხლი 14. დისერტაციის წარდგენა

14.1 დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დისერტაციის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს.

14.2 დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ თემა მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული

14.3 დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა (თანახელმძღვანელმა) სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

14.4 დისერტაციას თან ერთვის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

14.5 სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება განსაზღვრავს, მოეთხოვება თუ არა დოქტორანტს, დისერტაციის დაცვამდე გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად ჩაბარებული ჰქონდეს სამეცნიერო პუბლიკაციები (რის დამადასტურებელ დოკუმენტსაც წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს).

14.6 დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობა შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის

ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად, ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად საზღვარგარეთ გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში ან იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings);

გ) საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული სტატია უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს;

დ) სადისერტაციო საბჭო ქმნის უცხოელ ექსპერტთა საინფორმაციო ბაზას და უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას.

დ<sup>1</sup> ექსპერტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

დ<sup>2</sup> უცხოელი ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით. ორი თვის განმავლობაში უცხოელი ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, დოქტორანტის სტატია/დისერტაციის შემოკლებული ვერსია ეგზავნება სხვა უცხოელ ექსპერტს. ექსპერტებისგან ექვსი თვის განმავლობაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ინტერნაციონალიზაციის რომელიმე სხვა მოთხოვნა.

14.7 რეცენზირებისათვის საჭირო თანხა შეიძლება გამოიყოს დოქტორანტის სწავლის გადასახადიდან.

14.8 დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე:

ა) სდასუში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში;

ბ) სდასუში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).

14.9 სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული წინამდებარე სტანდარტისგან განსხვავებული და/ან დამატებითი მოთხოვნები.

## მუხლი 15. დისერტაციის წინასწარი შეფასება

15.1 დისერტაციის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს ან დარგობრივი სექციის თავმჯდომარე დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს მინიმუმ ორ შემფასებელს სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესით.

15.2 თუ შემფასებელთა ნახევარი (მაგ. ორიდან ერთი) უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო საბჭო ან დარგობრივი სექცია ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს კიდევ ერთ შემფასებელს.

15.3 თუ შემფასებელთა უმრავლესობა უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება, მაგრამ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე.

15.4 დისერტაციის განხილვისა და შეფასების დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

## მუხლი 16. სადისერტაციო კომისია

16.1 დისერტაციის დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს სადისერტაციო კომისიის წინაშე.

- 16.2 სადისერტაციო კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისაგან, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.
- 16.3 სადისერტაციო კომისიაში დოქტორანტის ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.
- 16.4 სადისერტაციო კომისიის არჩევის წესს განსაზღვრავს სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.

#### მუხლი 17. დისერტაციის დაცვა

- 17.1 დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია ამის შესახებ ქვეყნდება სდასუს ვებგვერდზე და/ან სდასუს გაზეთში, დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
- 17.2 დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებული არ არის გამონაკლისი.
- 17.3 დისერტაციის დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და დისერტაციის შეფასებას.
- 17.4 დისერტაციის დაცვის რეგლამენტს განსაზღვრავს სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.

#### მუხლი 18. დისერტაციის შეფასება

- 18.1 დისერტაციის შეფასებას ახორციელებს სადისერტაციო საბჭო, შესაბამისი დარგობრივი სექცია ან სადისერტაციო კომისია.
- 18.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომა, რომელზეც ხდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სადისერტაციო საბჭოს წევრთა უმრავლესობა და სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი დარგის წარმომადგენელთა არანაკლებ 2/3.
- 18.2<sup>1</sup> სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის სხდომა, რომელზეც ხდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დარგობრივი სექციის წევრთა უმრავლესობა.
- 18.2<sup>2</sup> სადისერტაციო კომისიის სხდომა, რომელზეც ხდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სადისერტაციო კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3.
- 18.3 სადისერტაციო საბჭო, დარგობრივი სექცია ან სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას დისერტაციის შეფასების შესახებ იღებს დახურულ სხდომაზე, ფარული კენჭისყრით, უშუალოდ დაცვის შემდეგ.
- 18.3<sup>1</sup> შეფასებაში მონაწილეობას არ ღებულობენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) და შემფასებლები.
- 18.3<sup>2</sup> დისერტაციის შეფასების საშუალო მაჩვენებელს გამოიყვანს სადისერტაციო საბჭოს, დარგობრივი სექციის ან სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.
- 18.4 დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, თუ სადისერტაციო საბჭოს, დარგობრივი სექციის ან სადისერტაციო კომისიის დამსწრე წევრთა შეფასებების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს მინიმუმ 51 ქულას.
- 18.5 დისერტაციის შეფასება განხორციელდება 100-ქულიანი სისტემით და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება:

- |                   |   |
|-------------------|---|
| 91-100 ქულა       | – ფრიადი (summa cum laude);                         |
| 81-90 ქულა        | – ძალიან კარგი (magna cum laude);                   |
| 71-80 ქულა        | – კარგი (cum laude);                                |
| 61-70 ქულა        | – საშუალო (bene);                                   |
| 51-60 ქულა        | – დამაკმაყოფილებელი (rite).                         |
| 41-50 ქულა        | – არადამაკმაყოფილებელი (insufficienter);            |
| 41 ქულაზე ნაკლები | – „სრულიად არადამაკმაყოფილებელი” (sub omni canone). |

- 17.6 სადისერტაციო საბჭოს, დარგობრივი სექციის ან სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე ღიად აცხადებს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება სხდომის ოქმში.
- 17.7 თუ დისერტაცია არ იქნა დაცული, მაგრამ დაიმსახურა “არადამაკმაყოფილებელი შეფასება” (41-50 ქულა) დოქტორანტს ენიჭება 1 წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის



წარდგენის უფლება. დისერტანტის განცხადება განმეორებითი დაცვის თხოვნით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანთან, არაუგვიანეს 3 თვისა დისერტაციის დაცვის შედეგების გამოცხადებიდან.

17.8 არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის “სრულიად არაადამაკმაყოფილებელი” (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

#### მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება და ჩამორთმევა

18.1 დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭო ან სადისერტაციო საბჭოს სახელით – დარგობრივი სექცია ან სადისერტაციო კომისია. დოქტორანტს აკადემიური ხარისხი მიენიჭება სადისერტაციო საბჭოს, დარგობრივი სექციის ან სადისერტაციო კომისიის მიერ დისერტაციის დაცულად გამოცხადებისთანავე.

18.2 მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმულირება ხდება ერთიანი პრინციპით: კონკრეტული მიმართულების (სპეციალობის/დარგის) ნათესაობითი ბრუნვის ფორმით აღებულ სახელწოდებას დაემატება ტერმინი „დოქტორი” (მაგალითად, სამართლის დოქტორი, ფილოლოგიის დოქტორი, მედიცინის დოქტორი და სხვა).

18.3 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა მოხდება აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში (მაგ. სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, პლაგიატი და სხვა).

#### მუხლი 19. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

19.1 დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება დასტურდება სდასუს მიერ კანონმდებლობით დადგენილი ნიმუშის დიპლომის გაცემით.

19.2 დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

19.3 დიპლომის გაცემამდე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე გასცემს ცნობას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

#### მუხლი 20. დოქტორანტურის დაფინანსება

20.1 დოქტორანტურაში სწავლის წლიური საფასური განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და შესაბამისი ხელშეკრულებით.

20.2 სადოქტორო პროგრამის დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) სახელმწიფო დაფინანსებით – დოქტორანტის ან სდასუს მიერ მოპოვებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად ან სპეციალური სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი სამეცნიერო გრანტებით;

ბ) მიზნობრივი დაფინანსებით – იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, სადოქტორო პროგრამებიდან ან საკვლევო თემებიდან ერთი ან რამდენიმეს განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრებით;

გ) თვითდაფინანსებით – დოქტორანტის მიერ დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში აუცილებელი კვლევების ღირებულების დამოუკიდებლად დაფარვით;

20.3 სადოქტორო პროგრამები შესაძლებელია დაფინანსდეს სხვა წყაროებიდანაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.